ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ მკვლევარებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://www.electra-project.eu/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მკვლევარები**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
დოქტორის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს მიერ გაცემული ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობის მფლობელებს შეუძლიათ აღნიშნული ცნობის წარდგენა. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
საკვლევი გეგმის მონახაზი	საკვლევი თემის სათაური, გეგმა, ძირითადი საკითხებით და მიზნებით, მეთოდოლოგიითა და ბიბლიოგრაფიით
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ თსუ-ს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას უნივერსიტეტთან
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შერჩევის შემთხვევაში შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის
CV	ევროპული ფორმატი
ერთი რეკომენდაციის წერილი	მშობლიური უნივერსიტეტის თემის ხელმძღვანელის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
ნაშრომები და პუბლიკაციები	დაურთეთ სია ინგლისურ ენაზე
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია
2. ოულუს უნივერსიტეტი, ფინეთი
3. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი
4. ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
5. კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია
7. მინოს უნივერსიტეტი, პორტუგალია
8. სოფიას ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის უნივერსიტეტი, ბულგარეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.electra-project.eu/index.php/homepage-2/study-and-research-opportunities
პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებებია: მდგრადობა და გარემოს დაცვა
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 6 თვე
სტიპენდია მოიცავს 1800 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.
შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ განაცხადის გაკეთება არ შეუძლიათ მკვლევარებს, რომლებიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 12 თვეზე მეტი ვადით სწავლობდნენ/კვლევას აკეთებდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში!

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 30 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ანი ჭელიშვილს,
თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში, ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge
(თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121)